Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#16, აპრილი, 2021

ეთიკური პრობლემები ქართულ ტელემედიაში არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას

ანა დავიდიანი

მარიამ ხარძიანი

ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: ancho.davidiani@gmail.com

Email: makaxardziani6@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის. მიუხედავად მცირე ასაკისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვთა უფლებები ირღვევა, როგორც მედიის, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან. მედიას, როგორც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გავლენიან და ეფექტურ საშუალებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას, ეთიკის ნორმების დაცვის გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება ფაქიზი და სპეციფიკური თემაა, მედიას მეტი სიფრთხილე მართებს ამ პრობლემატიკის შესახებ საუბრისას.

კვლევის მიზანია, დადგინდეს, აშუქებენ თუ არა ქართული მედიაარხები არასრულწლოვანთა საკითხებს ეთიკური ნორმების სრული გათვალისწინებით; ამასთან, გამოირკვეს: რა ტიპის ეთიკური დარღვევები გვხვდება ტელემედიაში არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას, რა სიხშირით ვლინდება აღნიშნული დარღვევები საკვლევ ობიექტებად გამოყენებული მედიასაშუალებების მიერ და რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება ამ კუთხით.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ არასრულწლოვანთა ეთიკურად გაშუქების მხრივ მიმდინარე წლის მონაცემები, წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად საგანგაშოა. ნათელი გახდა, რომ მედიასაშუალებების მიერ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტური ეთიკის ნორმები ძირითადად არ არის უგულებელყოფილი და არასრულწლოვანთა უფლებები, უმეტეს შემთხვევაში, დაცულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიასაშუალებების მიერ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას, ერთეული შემთხვევების გარდა, ადგილი არ აქვს არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების ან სხვა დეტალების გამჟღავნების ისეთ ფაქტებს, რომელთაც შესაძლოა თვრამეტ წლამდე პირის სახის დაფარვისთვისაც კი აზრი დაეკარგა. ამასთანავე, მედიასაშუალებები არასრულწლოვანთა ძალადობისა თუ მკვლელობის/სუიციდის ამსახველ კადრებს აშუქებენ პრევენციის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა საკითხები, ეთიკური პრობლემები, დარღვევები ტელემედიაში, ეთიკური ტელემედიის როლი.

შესავალი

ეთიკური და პროფესიული სტანდარტები ჟურნალისტს ავალდებულებს საზოგადოებას მიაწოდოს ეთიკური ნორმების დაცვით გათვალისწინებული ზუსტი, ამომწურავი, სოციუმისთვის არასაზიანო და რელევანტური ინფორმაცია. მედიის ვალდებულება მნიშვნელოვნად იზრდება არასრულოვანთა საკითხების დროს. მისი მოვალეობაა დაიცვას ბავშვის ინტერესები და ამასთან ერთად, არ შეზღუდოს მისი გამოხატვის თავისუფლება. ჟურნალისტი ვალდებულია, ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, ბავშვის იდენტიფიცირებამდე თავად შეაფასოს, რა ნეგატიური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს ეს ქმედება, რადგან არასრულწლოვნის ოჯახის წევრები თუ საზოგადოების წარმომადგენლები შესაძლოა არ ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას ან ემოციური მდგომარეობის ფონზე ვერ აცნობიერებდნენ, რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ჟურნალისტურ მასალაში თვრამეტ წელს მიუღწეველი პირის იდენტიფიცირება.

ქართულ მედიაში ხშირია ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები. ეთიკური პრობლემები ვლინდება არამხოლოდ არასრულწლოვანთა გაშუქებისას, არამედ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შემთხვევაშიც, რასაც ადასტურებს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში შემოსულ საჩივართა რაოდენობა, რომელთა ნახვაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

არასრულწლოვანთა გაშუქებისას მედიის წარმომადგენლები არღვევენ ეთიკის ისეთ ნორმებს, როგორიცაა: არასრულწლოვნის სრული იდენტიფიცირება ან ძალადობისა თუ სუიციდის მსხვერპლი მოზარდის არაეთიკურად გაშუქება. ბავშვის შესახებ ისეთი სტატიის ან რეპორტაჟის გამოქვეყნება, რომელიც მას ზიანს მიაყენებს და სხვა. მედიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა ბავშვთა ინტერესების დაცვის კუთხით, რათა უნებლიედ ან განზრახ ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას. ბავშვთა უფლებები ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს, რადგან ისინი მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან და ნაკლებად შესწევთ ძალა, დამოუკიდებლად დაიცვან საკუთარი

უფლებები. ამასთანავე, პრობლემას წარმოადგენს მედიის მიერ თვრამეტ წლამდე ასაკის პირთან დაკავშირებული საკითხების სენსაციური თუ სტერეოტიპული გაშუქება და ბავშთა საკითხებით მანიპულირება საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით. ჟურნალისტის მიერ დაუშვებელია არასრულწლოვნის იდენტიფიცირება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვი მსხვერპლის, ბრალდებულის თუ მოწმის ამპლუაშია. მცირეწლოვნის უმართებულო იდენტიფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დისკრიმინიაცია, ფიზიკური ზიანი ან ფსიქოლოგიური რეტრავმირება. იდენტიფიცირების გარდა, პრობლემას წარმოადგენს სახის არასაჭირო დაფარვაც.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ჩატარებულ მონიტორინგზე დაყრდნობით, მედიასაშუალებები ზოგჯერ ზედმეტ და, ამავდროულად, უსაფუძვლო სიფრთხილეს იჩენენ, რაც გამოიხატება არასრულწლოვანთა დაფარვის იმ შემთხვევებში, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს. ერთ-ერთ მსგავს შემთხვევას წარმოადგენს ტელეკომპანია „ფორმულაზე“, 2021 წლის 2 იანვარს, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით გასული სიუჟეტი „ადამიანები ადამიანებისთვის“, რომელშიც ნაჩვენებია სახედაფარული არასრულწლოვნები იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო მათი იდენტიფიცირება. სინამდვილეში კი, სოციალური საკითხების გაშუქებისას საჭირო არაა მოზარდთა სახეების დაფარვა, რადგან ღია გაშუქებით მათ ზიანი არ მიადგებათ.

კვლევის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ქართულ ტელემედიაში არასრულწლოვანთა გაშუქებისას გამოვლენილი ეთიკური დარღვევები. ბავშვთა საკითხების ინტენსიური გაშუქებით გამოირჩევა 2021 წლის იანვარის, თებერვლისა და მარტის თვეები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა აღნიშნული დროის საკვლევ პერიოდად არჩევა, ხოლო საკითხის აქტუალობამ - მისი საკვლევ თემად განსაზღვრა. აღნიშნული დროისთვის გახშირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობისა თუ სიკვდილიანობის შემთხვევები. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა ტელეარხების რეიტინგულობა, რომლის საფუძველზე კვლევის ობიექტებად შეირჩა შემდეგი ხუთი ქართული ტელეარხი: „ფორმულა“, „რუსთავი 2“, „TV პირველი“, „მთავარი არხი“ და „იმედი“.

წინამდებარე კვლევამ გვიჩვენა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან მარტამდე ბავშვთა საკითხების გაშუქების შემთხვევათა რაოდენობამ იმატა. ნაშრომის შემდგომ ნაწილებში განვიხილავთ საკვლევ ობიექტებზე დაკვირვებით ჩატარებული სიღრმისეული ანალიზის შედეგებს, რაც გამყარებული იქნება, როგორც თეორიული მასალით, ასევე კვლევის საფუძველზე მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

არასრულწლოვნის ინტერესების პრიორიტეტულობა ჩვენში ახლად დამკვიდრებული საკითხია მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში 1800-იანი წლებიდან იდებს სათავეს. დღევანდელობამდე ბავშვის უფლებების ცნება არ არსებობდა, როგორც ოჯახში, ისე - სოციუმში. ამასთანავე, არ არსებობდა ზუსტი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ბავშვის უფლებებს გარანტირებულად დაიცავდა. დროთა განმავლობაში, კერძოდ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ბავშვის უფლებების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. სამართლებრივ ნორმებში ცვლილებების შეტანის შემდეგ ბავშვი უკვე აღიქმება არა როგორც უუფლებო სუბიექტი, არამედ როგორც სრულუფლებიანი საზოგადოების წევრი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიეცა უფლება, ჩარეულიყო ბავშვებისა და მშობლების ურთერთობაში, რაც მე-19 საუკუნის ბოლომდე წარმოუდგენლად აღიქმებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიერ. დროდადრო წინა პლანზე წამოიწია ბავშვთა უფლებების დაცვის პროცესმა, რასაც ხელი შეუწყო ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის 1924 წლის დეკლარაციამ, 1948 წლის ადამიანთა უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ, გაეროს 1989 წლის კონვენციამ ბავშვის უფლებების შესახებ და სხვა მსგავსი შინაარსის დოკუმენტებმა.

უშუალოდ საკითხის განხილვამდე ხაზგასასმელია, რომ მედია ის უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საზოგადოებასა და მისი აზრის ჩამოყალიბებაზე. მედიისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესებისა და მისი უფლებების დაცვა, ჟურნალისტს კი ამას ავალდებულებს როგორც კანონი, ასევე პროფესიული სტანდარტები. 2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადგინა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც რედაქციებსა და მაუწყებლობებს ავალდებულებს პროფესიული საქმიანობის პროცესში

წარმოქმნილი ეთიკური საკითხების გათვალისწინებას. ზემოხსენებული კოდექსის XI თავის 44-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ყველა ავტორიზებულმა მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს არასრულწლოვნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ასევე მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ანონიმურობას. 44-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს მაუწყებლის მიერ ნებისმიერ პროგრამაში გაშუქებული არასრულწლოვნის სულიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

მიგვაჩნია, რომ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ არასრულწლოვანთა საკითხებისადმი ყურადღება მაინც არასაკმარისადაა გამახვილებული, რადგან ამ ფრიად მნიშვნელოვანი თემისთვის მხოლოდ ერთი მუხლია დათმობილი და მასში ბავშვთა საკითხები ზედაპირულად არის განხილული. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ საუბარია მედიის მიერ ეთიკურად გაშუქების სტანდარტებზე, მაგრამ არაფერია თქმული არასრულწლოვანთა საკითხების ეთიკურად გაშუქებაზე. ეს კი გარკვეულწილად ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოსდა მედიას თვითნებურად გაშუქების უფლება ეძლევა და ამით არასრულწლოვანთა უფლებები კნინდება. ცხადია, გვესმის, რომ კოდექსში ზედმიწევნით ვერ იქნება გაწერილი ყოველი საკითხის ეთიკურად გაშუქების ნორმა, მაგრამ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით შემუშავებულ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ არასრულწლოვანთა საკითხებისათვის გამოყოფილი მხოლოდ ერთი მუხლი ნამდვილად არაა საკმარისი.

პროფესიული და ეთიკური სტანდარტების კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც 2009 წლის 4 დეკემბერს დაფუძნდა. ის მოიცავს 11 პრინციპს, ჩვენს საკვლევ საკითხს კი ოთხი მათგანი პასუხს. კერძოდ, პირველი, მეშვიდე, მერვე და მეათე პრინციპები. ამათგან, არასრულწლოვანთა საკითხების ეთიკურად გაშუქების კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანია მერვე პრინციპი, რომელიც ჟურნალისტს ბავშვის უფლებების დაცვასა და ჟურნალისტური საქმიანობისას ბავშვის ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებას ავალდებულებს. ამასთანავე, ჟურნალისტმა არ უნდა გამოაქვეყნოს ან მოამზადოს ისეთი რეპორტაჟები თუ სტატიები, რომლებიც ბავშვებისთვის ზიანის მომტანი იქნება. მერვე პრინციპში აღნიშნულია ისიც, რომ ჟურნალისტმა 16 წელს მიუღწეველ მოზარდს არ უნდა

ჩამოართვას ინტერვიუ და არ გადაუღოს ფოტო, მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მერვე პრინციპში ნახსენებ 16 წელს მიუღწეველ ბავშვებთან დაკავშირებით ქარტიას მედია შეცდომაში შეჰყავს, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ბავშვად 18 წელს მიუღწეველი პირი მიიჩნევა და შესაბამისად, ამ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა იდენტიფიცირებაც დაუშვებელია მედიის მხრიდან. ამას არ ითვალისწინებს მერვე პრინციპი, რასაც ცხადყოფს ჩვენი კვლევის ფარგლებში აღმოჩენილი შემთხვევები, სადაც მედიასაშუალებები აშუქებდნენ 17-18 წლის ბავშვებსაც, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც დაზარალებულების, ისე ბრალდებულებისა თუ მოწმეების ამპლუაში. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით 18 წლამდე პირიც ბავშვად ითვლება, ქარტიამ უნდა შეცვალოს მითითებული 16 წელი და ჩაანაცვლოს 18-ით, რადგან მედიის წარმომადგენილები არ აღმოჩნდნენ გაურკვევლობაში.

ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, მოიცავს რეკომენდაციებს მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც ტერორიზმის, ისე კრიმინალის, პირადი ცხოვრების გაშუქების და სხვა საკითხების შესახებ. სახელმძღვანელოებში, ასევე, საუბარია ბავშვებთან დაკავშირებული თემების გაშუქებაზე, რომლებიც შემდეგ ქვეთავებად იყოფა: არასრულწლოვანთა სუიციდი, ბავშვის იდენტიფიცირება, ძალადობა, ტრავმა და სხვა.

2016 წლით დათარიღებულ ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში ნახსენებია არასრულწლოვანთა ასაკობრივი პრობლემები, რომლებიც ვლინდება მათი ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილით. სწორედ ამიტომ, მედიასაშუალებები უნდა მოერიდონ სუიციდის მსხვერპლ მოზარდებზე ისეთი რეპორტაჟების, სიუჟეტებისა თუ სტატიების მომზადებას, რამაც სხვა ახალგაზრდებს შესაძლოა თვითმკვლელობის სურვილი გაუცნობიერებლად დაუსახოს ყურადღების ცენტრში ყოფნის გზად.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, იანვრიდან მარტამდე, არასრულწლოვანთა სუიციდისა და მისი მცდელობის შემთხვევათა რაოდენობამ იმატა. მიგვაჩნია, რომ შემთხვევათა მატება

გამოწვეულია ზემოხსენებული პრობლემიდან გამომდინარე, რადგანაც ბავშვთა სუიციდის მცდელობის შემთხვევები, მედიის მიერ გაშუქებულ შემთხვევათა პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი არასრულწლოვანთა გაშუქების საკითხების მხრივ მეტად ინფორმაციული და დახვეწილია პირველ ნაწილთან შედარებით. ეს ვლინდება იმით, რომ მეორე ნაწილში საუბარია, როგორც არასრულწლოვნის გაშუქებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებსა და რეკომენდაციებზე, ასევე სუიციდის საკითხების ეთიკური ნორმების დაცვით გაშუქებაზე.

„ეცადეთ, არ გამოიყენოთ სოციალური ქსელში არასრულწლოვნის მიერ/შესახებ განთავსებული ფოტოები ან ინფორმაცია, თუ ეს რედაქციულად არ არის დასაბუთებული. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ორმაგი გადამოწმება სჭირდება, რადგან მცდარი ინფორმაციის გავრცელების რისკი უფრო მაღალია“ („ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“ ნაწ. 2, 2017-2018, გვ.59). ეთიკურად გაშუქების სახელმღვანელოში ზემოხსენებული რეკომენდაცია ჩვენ კვლევაში აღმოჩენილ ერთ-ერთ შემთხვევას პირდაპირ პასუხობს. აღნიშნული კი გახლავთ ქალაქ ქობულეთში მომხდარი 2021 წლის 11 თებერვლის უბედური შემთხვევა, როდესაც 14 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მოცემული შემთხვევა გაშუქდა ჩვენ მიერ არჩეულ თითოეულ საკვლევ არხზე, აქედან სამმა მათგანმა („ფორმულა“, „რუსთავი 2“, „ტვ პირველი“) დაარღვია ეთიკურად გაშუქების სახელმღძვანელოში მოცემული ზემოხსენებული რეკომენდაცია. კერძოდ, 14 წლის გოგოს გაშუქებისას, გარდა იმისა, რომ მოხდა მისი სრული იდენტიფიცირება, აღნიშნულმა მედიასაშუალებებმა გამოიყენეს ასევე სოციალური ქსელში განთავსებული ფოტომასალა, რომელთაგანაც ფოტოები იყო აღებული, არა მხოლოდ სხვადასხვა სოციალური ქსელიდან, არამედ მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან (საოჯახო ფოტოები, დაბადების დღეებსა თუ ქორწილში გადაღებული არასაჭირო ფოტომასალა). აღნიშნული კი არ წარმოადგენდა

საზოგადოების ინტერესს, რაც მედიის მხრიდან მსგავსი ქმედების საჭიროებას გახდიდა, ყოველივე კი, პირად ცხოვრებაში შეჭრას გულიხსმობს. სწორედ ამიტომ გახლავთ ჩვენ მიერ განხილულ

სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები რელევანტური ჩვენი კვლევისათვის, რადგან ის ნათელს ხდის კვლევის პროცესში აღმოჩენილი დარღვევის მნიშვნელობას. ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში საუბარია სუიცდზე და მისი გაშუქების მნიშვნელობაზე. მედიამ სუიციდი არ უნდა გააშუქოს და შეფუთოს იმგვარად, რომ იგი წარმოდგენილი იყოს არასრულწლოვნისთვის პრობლემის გადაჭრის გზად. ამავდროულად, მედიამ არ უნდა მოახდინის სუიციდის რომანტიზება და მოზარდებისთვის თვითმკლელობის ისე წარმოჩენა, რომ მათ გაუჩნდეთ განცდა, თითქოს სუიციდის შემთხვავში ბავშვთა სიცოცხლე მეტად იქნება დაფასებული. ხსენებული სახელმღძვანელოს მიხედვით, არარეკომენდებულია მედიასაშუალებების მხრიდან საინფორმაციო გამოშვებების სუიციდის შემთხვევით დაწყება, რაც ქართულ მედიაში უგულებელყოფილია, ამას კი ადასტურებს ჩვენი კვლევის ფარგლებში დაკვირვების ქვეშ მყოფი მედიასაშუალებების მაგალითები.

„მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების სახელმძღვანელო“ 2011 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და სამოქალაქო განვითარების ინსტუტუტის თაოსნობით შეიქმნა, სადაც საუბარია მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე. სახელმძღვანელოში მოცემული თითოეული დებულება მედიის წიაღიდანვე აღმოცენებული აუციელებელი ნორმაა. ზემოხსენებული სახელმძღვანელო მაქსიმალურადაა ორიენტირებული ამბის გაშუქებისას ბავშვი დაიცვას უფლებების დარღვევისგან, რაც სახელმძღვანელოს მეტ პრივილეგიას ანიჭებს. ამავდროულად, წინამდებარე სახელმძღვანელო ეთიკურად გაშუქების სტანდარტების მხრივ ერთ-ერთი საპასუხიმგებლოა მედიის წარმომამდგენლებისთვის, რადგან ეთიკის ნორმების გათვალისწინება არის საზოგადოების წინაშე თითოეული ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, საკუთარ სიტყვას მეტი ვალიდურობა მიანიჭოს და ჟურნალისტის სახე სანდომიანად წარმოაჩინოს ხალხისთვის. სახელმძღვანელოში მითითებული პრინციპები მედიას საშუალებას აძლევს არასრულწლოვანთა საკითხების გაშუექებისას გაითვალისწინოს მათი ასაკი და მგრძნობიარე ასპექტები.

მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების სახელმძღვანელოს დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი კვლევის სწორად წარმართვასა თუ

არაეთიკურად გაშუქებული შემთხვევების აღმოჩენაში. აღნიშნული სახელმძღვანელო საკმაოდ ინფორმაციულია ეთიკურად გაშუქების კუთხით, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მოცემული რეკომენდაციები თუ რჩევები ჟურნალისტებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ.

1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ მიიღო, რომელმაც ბავშვებისადმი დამოკიდებულებასთან ერთად შეცვალა მათი უფლებები და ბავშვის, როგორც პიროვნების აღქმა. კოვენცია წინა პლანზე წევს ბავშვს, როგორც განსაკუთრებულ უფლებათა მქონე ინდივიდს. აქედან გამომდინარე, ბავშვის უფლებები სცდება იმ ვიწრო თვალსაწიერს, რითაც ისინი მხოლოდ და მხოლოდ ქველომქმედების ობიექტებად აღიქმებიან და

არა განსაკუთრებულ უფლებათა მქონე პირებად. საერთაშორისო დონეზე „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ პირველი და სავალდებულო კრებულია ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო. აღნიშნული კონვენცია 54 მუხლისგან შედგება, მათ შორის საქართველოც, რომელიც 1994 წელს შეუერთდა კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. დოკუმენტი ეხება ყველა ბავშვს განურჩევლად სქესის, წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელეგიისა თუ რასის მიუხედავად. სახელმწიფოები, რომლებიც ბავშვის უფლებათა კონვენციას უერთდებიან იზიარებენ, შემდეგ მოსაზრებებს: ბავშვი დამოუკიდებელად ცხოვრებისათვის სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული და აღიზარდოს, როგორც მშვიდობისა და შემწყნარებლობის, ისე ადამიანის ღირსების პატივისცემის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით..

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ათი წლისთავის აღსანიშნავად, 1999 წელს, იუნისეფის მიერ აღნიშნული ცნობარი ეფუძნება პრაქტიკოსი ჟურნალისტების გამოცდილებას, რომელიც მედიაეთიკის საკითხებზე მომუშავე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „MediaWise” -ის მიერ არის შემუშავებული.

უცხოელ ექსპერტ-ანალიტიკოსებისა და მედიამკვლევრებიდან აღნიშვნას იმსახურებს მაიკ ჯემპსონი, რომლის ინიციატივითაც ჟურნალისტებისთვის შეიქმნა პირველი

ტუტორიალი ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ჯემპსონი პირველი ქართული ანალოგიური სახელმძღვანელოს თანაავტორიც გახლდათ. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ათი წლისთავის აღსანიშნავად, 1999 წელს, იუნისეფის მიერ აღნიშნული ცნობარი ეფუძნება პრაქტიკოსი ჟურნალისტების გამოცდილებას, რომელიც მედიაეთიკის საკითხებზე მომუშავე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „MediaWise”-ის მიერ არის შემუშავებული. მაიკ ჯემპსონის თანაავტორობით დაწერილი სახელმძღვანელო „მედია და ბავშვთა უფლებები“ მიზნად ისახავს ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის ბავშვის უფლებების უკეთესად გააზრებას. ცნობარში, ასევე, შევხვდებით მნიშვნელოვან მოსაზრებებს ჟურნალისტებისა და იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სურთ, მედიასივრცეში გაშუქდეს ბავშვთა პრობლემები, საჭიროებები, მიღწევები და მისწრაფებები. ამავდროულად, სახელმძღვანელოს მიზანია, როგორც ბავშვების პრობლემების წარმოჩენა, ისე იმ ზეგავლენის მთელი პასუხისმგებლობით გაშუქება, რომელიც მოზრდილთა ქმედებამ და მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება იქონიოს ბავშვების ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მიერ განხილული და გამოყენებული სახელმძღვანელოები რელევანტურია არა მხოლოდ ჩვენი კვლევისთვის. იგი სასარგებლოა თავად მედიის წარმომადგენლებისთვისაც, რათა საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით, ბავშვთა საკითხების გაშუქებისას კი თავი დაიზღვიონ შეცდომებისა და მათი უფლებების უნებლიედ დარღვევისაგან.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი პოპულაცია - ტელეარხები: „ფორმულა“, „რუსთავი 2“, „ტვ პირველი“, „მთავარი არხი“ და „იმედი“.

საკვლევი პერიოდი: 2021 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით.

ქართულ ტელემედიაში არასრულწლოვანთა არაეთიკურად გაშუქების საკითხებზე კვლევის მიზნის მისაღწევად შეირჩა სოციალურ მეცნიერებათა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომბინირებული მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდების მეშვეობით განისაზღვრა, როგორც არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებულ შემთხვევათა რაოდენობა, ასევე ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი მედიასაშულებების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევათა რიცხვი. ხოლო თვისებრივი კვლევის მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა, გვეკვლია არასრულწლოვანთა თემების გაშუქებისას დარღვეული ეთიკური ნორმები. ასევე, კვლევისას გაირკვა, რა კონტექსტში აშუქებდნენ მედიასაშუალებები ბავშვთა საკითხებს, რა თემებთან დაკავშირებით აშუქებდნენ ყველაზე ხშირად არასრულწლოვნებს. საკვლევ პოპულაციაზე დაკვირვებისას დავეყრდენით მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებს. კვლევის მეთოდებით ნათელი გახდა, რა სახის დარღვევები იჩენს თავს მოცემულ თემაზე და რა თავისებურებებით ხასიათდება. ამასთანავე, ნაშრომში გამოვიყენეთ სხვადასხვა კვლევა თუ სახელმძღვანელო, რომლებიც ეყრდნობა ჟურნალისტურ ნორმებსა და სტანდარტებს.

შედეგები / დისკუსია

საკვლევი პერიოდის მიმდინარეობისას არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქების დროს 5 ტელეარხზე დაკვირვებამ 80 საძიებო შემთხვევა მოგვცა. აქედან ტელეკომპანია „ფორმულაზე“ გაშუქდა 21 შემთხვევა, „რუსთავი 2“ზე - 18, „ტვ პირველზე“ – 15, „იმედსა“ და „მთავარ არხზე“ კი 13-13. დაკვირვებამ გამოკვეთა შემდეგი ტენდენცია: ფაქტობრივად, ერთნაირი საკითხები შუქდებოდა სამთვიანი მონიტორინგის პერიოდში ხუთივე ტელეარხზე. გაშუქებისას მეტი ყურადღება მახვილდებოდა არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობის, მკვლელობისა თუ თვითმკლელობის ამსახველ ფაქტებზე, სადაც ძირითად დარღვევებს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა სრული იდენტიფიცირება.

მეტი თვალსაჩინოებისათვის სამთვიანი კვლევის შედეგებს ცხრილის სახით წარმოვადგენთ:



დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.

არასრულწოვანთა გაშუქების დროს ეთიკური პრობლემების კვლევისას აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთი მედიაარხი თითქმის უშეცდომოდ აშუქებდა ამ საკითხს. სამი თვის განმავლობაში გაშუქებული 80 შემთხვევიდან, დარღვევის მხოლოდ 4 შემთხვევა გამოიკვეთა, რაც კვლევის დაწყებამდე ჩვენ მიერ გაცხადებულ მოლოდინს არ შეესაბამება, რადგან ვვარაუდობდით, რომ ამ კუთხით ქართულ მედიაში სავალალო მდგომარეობა იქნებოდა. კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ მედიასაშუალებების მიერ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტური ეთიკის ნორმები ძირითადად არ არის უგულებელყოფილი. შესაბამისად, ბავშვთა უფლებებსა და ინტერესებს მედიასაშუალებების მხრიდან მეტი ყურადღება ეთმობა და პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა ეთიკურად გაშუქების მხრივ დღითიდღე იზრდება.

ჟურნალისტს ვალდებულება ეკისრება, დაიცვას ფაქტის სიზუსტე, განასხვაოს ფაქტი და კომენტარი ერთმანეთისაგან, ამავდროულად, გაითვალისწინოს სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და კონფიდენციალურობა, რომელიც არ უნდა იყოს უგულებელყოფილი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არარსებობის დროს. თუმცა, აღნიშნული გამართლებული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ დაცული სიკეთე მიყენებულ ზარალს აღემატება. ჩვენს კვლევაში სწორედ მოცემული სტანდარტების გათვალისწინებაზეა ყურადღება გამახვილებული.

კვლევის ფარგლებში აღმოჩენილი დარღვევების ფონზე გამოიკვეთა სუიციდის გაშუქების ისეთი შემთხვევები, რომელშიც არასრულწლოვნის სრულ იდენტიფიცირებას ჰქონდა ადგილი. სუიციდის სიმძიმიდან გამომდინარე, მედია ხშირად ერიდება მის გაშუქებას, თუმცა სამთვიანი კვლევის ფარგლებში აღმოჩენილი 14 წლის ქობულეთელი გოგონას შემთხვევა სხვადასხვა მედიასაშუალებისთვის მთავარი სასაუბრო თემა იყო კვირების განმავლობაში და თითქმის ყოველი საინფორმაციო გამოშვება ამ ამბით იწყებოდა. ამავდროულად, მედია თითოეულ სახელმწიფო უწყებას აკისრებდა ვალდებულებას გოგონას თვითმკლელობამდე მიყვანის ფაქტთან დაკავშირებით.

ცალკეულ შემთხვევაში, არასრულწლოვნები, შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, საზოგადოებისა თუ მედიის მომეტებული ყურადღების ცენტრში ექცევიან. ამასთანავე, ვაწყდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვების შესახებ მედია ისეთ ინფორმაციას ავრცელებს, რომლის საჭიროებაც ობიექტურად არ არსებობს და ნაცვლად იმისა, რომ პროფესიული სტანდარტები დაიცვას, „ყვითელი პრესის“ სტანდარტებს ერგება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ფარგლებში გვხვდება შემთხვევა, რომელიც 2021 წლის 13 იანვარს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტს უკავშირდება. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაანთკარში, 17 წლის ბიჭის განზრახ მკვლელობის საქმეზე გასულ სიუჟეტში წარმოდგენილია არასრულწლოვნის 5 ფოტო სახის დაფარვის გარეშე, რამდენჯერმე ნახსენებია მისი სახელი და გვარი. 17 წლის ბიჭის სრული იდენტიფიცირება და მოცემული ფოტომასალის გამომზეურება არ წარმოადგენდა საზოგადოების ინტერესს. ეს ვიზუალური ინფორმაცია არ იყო საჭირო მაყურებლისთვის, რადგან იგი მოზარდის მკლელობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას სოციალური ქსელებიდან ამოღებული ფოტოების გარეშეც შეძლებდა. უმჯობესი იქნებოდა, თუკი მედია დაიცავდა ზომიერებას და გაითვალისწინებდა

ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს, რადგან არასრულწლოვნის სახის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია, მით უფრო, როცა ის დანაშაულის მსხვერპლია. მოცემულ შემთხვევაში კი ეს წესი დარღვეულია.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული მედიაარხების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, საკვლევ პოპულაციად არჩეული ხუთი მაუწყებელი („ფორმულა“, „რუსთავი 2“, „ტვ პირველი“ „მთავარი არხი“, „იმედი“), მეტწილად, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით აშუქებს არასრულწლოვანთა საკითხებს. შესაბამისად, მოცემული მედიაარხები პატივს სცემენ ბავშვთა უფლებებს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ჩვენ მიერ ამ სამი თვის განმავლობაში მოძიებული და განხილული მასალა. ისინი თვიდან თვემდე მეტ პასუხისმგებლობას იჩენდნენ გაშუქების ობიექტებად ქცეული ბავშვებისა და მათი ოჯახების მიმართ - იცავდნენ მათ პირად ცხოვრებას, თავიდან იცილებდნენ დისკრიმინაციის წახალისების შესაძლებლობას.

მედია თანამედროვე საზოგადოების ინფორმირების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანთა უმეტესობა იღებს ცნობებს დღის მთავარი ამბების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მედია, მთელ რიგ შემთხვევაში, თავად ქმნის „დღის წესრიგს“ საზოგადოებისათვის. ჟურნალისტის, როგორც საზოგადოების სამსახურში მყოფი, პასუხისმგებლიანი პირისათვის, უმთავრესია ეთიკის ნორმების დაცვა და მოსახლეობისათვის ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. იმისთვის, რომ ჟურნალისტმა პროფესიული საქმიანობა შეძლოს და საზოგადოების წინაშე მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, საჭიროა მედიის, როგორც ერთიანი სისტემის გამართულად მუშაობა, რადგან ერთი ნაწილის მოშლა, საბოლოოდ, მთელი სისტემის მწყობრიდან გამოსვლას იწვევს. მუშაობის ამ პრინციპს ემორჩილება სწორედ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვაც. აქედან გამომდინარე, მედია ვალდებულია განუხრელად დაიცვას ეთიკის ნორმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამაუწყებლო კომპანიებმა ბავშვის უფლებების კუთხით არსებული პრობლემები გააშუქონ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებისა თუ კანონმდებლობის მიხედვით, რაც, ბუნებრივია, არასრულწლოვნისთვის ნაკლები ზიანის მიყენებასა და მისი ინტერესების დაცვას ემსახურება.

ბიბლიოგრაფია

ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო. (2016). თბილისი. გაეროს ბავშვთა ფონდი.

ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში. (2011). თბილისი. მედიის განვითარების ფონდი.

ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019). თბილისი. საქართველოს პარლამენტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი 1. (2016). თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. ნაწილი 2. (2017-2018). თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

კლდიაშვილი, დ. (2019). საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება. თბილისი. ევროპის საბჭო.

მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების სახელმძღვანელო. (2011). თბილისი. გაეროს ბავშვთა ფონდი.

https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/Standard_media_childthemes-ge.pdf

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. (2009). თბილისი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0#!

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები. 2009. თბილისი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula

Barry, C. Jempson, M. (2005) *The Media and Children's Rights (Second Edition),* Devised for UNICEF by MediaWise